ვინც გადაუვადებს ვალს გაჭირვებულს ან საერთოდ აპატიებს მას (ვალს ან მის ნაწილს), ალლაჰი დაფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში აღდგომის დღეს, იმ დღეს, როდესაც სხვა ჩრდილი არ იქნება, გარდა მისი ჩრდილისა

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც გადაუვადებს ვალს გაჭირვებულს ან საერთოდ აპატიებს მას (ვალს ან მის ნაწილს), ალლაჰი დაფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში აღდგომის დღეს, იმ დღეს, როდესაც სხვა ჩრდილი არ იქნება, გარდა მისი ჩრდილისა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ და აჰმადმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ იმ ადამიანისთვის, ვინც გადაუვადებს ვალს ან აპატიებს მას ვალის ნაწილს, ალლაჰი დაიფარავს მას თავისი ტახტის ჩრდილში განკითხვის დღეს, იმ დღეს, როდესაც მზე იქნება ახლოს ადამიანების თავებთან და მისი სიცხე იქნება აუტანელი. და ვერავინ ვერ მიაგნებს ჩრდილს გარდა იმისა, ვისაც ალლაჰი დააყენებს ჩრდილში.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4186